თბილისი *2015 წლის 23 დეკემბერი*

თსუ რექტორის 2015 წლის 18 სექტემბრის N 169/01-01 ბრძანების - "სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N 126/2015 2015 წლის 14 დეკემბრის სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2.

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>: პროფესორი გია ლობჟანიძე - კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე - თავმჯდომარის მოადგილე, ასისტენტ-პროფესორი მანანა კაკაბაძე - კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი ნოდარ ხოდელი, თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გიორგი ფიჩხაია.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატთან, მედიცინის დოქტორ ზურაბ ჩხაიძესთან გასაუბრება.

<u>**მოისმინეს:**</u>

ზურაბ ჩხაიძის მინი მოხსენება მის მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თვმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, ასოცირებული პროფესორობის კანდიდატმა ასევე დეტალურად მიმოიხილა საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ის სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს.

აზრი გამოთქვეს:

ნოდარ ხოდელმა, მანანა კაკაბაძემ და გიორგი ფიჩხაიამ. მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ ზურაბ ჩხაიძის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწობას, და მიაჩნიათ ის ღირსეულ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორის ზურაბ ჩხაიძის არჩევას.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები.
2. მედიცინის დოქტორი ზურაბ ჩხაიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

გია ლობჟანიძე - პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)

თემურ ჯორბენაძე - პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

მანანა კაკაბაძე - ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი)

ნოდარ ხოდელი - ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ფიჩხაია-თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი